



საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Legal Entity Public Law

SAMTSKHE -JAVAKHETI STATE UNIVERSITY

სარმოებალგენლობის სახაზო საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქთი N^o 4

„26“ 09 2022

დადგენილება № 14

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მარებ ნათენაძის სახელობის
სტიპენდიის დაწესების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „**۵**“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „**۶**“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „**۷**“ ქვეპუნქტის საფუძველზე,
წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ერთი სტუდენტის ფინანსური მხარდაჭერა/წახალისების მიზნით, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწესდეს მარებ ნათენაძის სახელობის სტიპენდია. სტიპენდიის დაფინანსების წყაროდ განისაზღვროს დონორის მიერ აღნიშნულის მიზნით, ხელშეკრულების საფუძველზე სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანგარიშზე ჩარიცხული თანხა. სტიპენდიანტის შერჩევა მოხდეს კომისიური წესით.
 2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
 3. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, ფინანსური დაგეგმარებისა და შესყიდვების სამსახურს, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებას და განთავსდეს ვებ-გვერდზე.
 4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფესორი

5m. ~~holy~~

ლავრენტი ჩიბურდანიძე